საქმე №3/1285-09 წ.

სასამართლო სხდომის ოქმი

8 ივნისი 2010 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნინო შარაძე

სხდომის მდივანი თამარ ბარნოვი

მოსარჩელე—ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა";

მოპასუხე — საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

მესამე პირები: 1. საქართველოს მთავრობა;

2. ქ. თბილისის მთავრობა;

3. შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი"— უფლებამონაცვლე "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი";

დავის საგანი: საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების უკანონოდ ცნობის და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების თაობაზე.

სხდომა დაიწყო 15[20] საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას, აცხადებს მას ღიად და სხდომას მოახსენებს რომ გრძელდება მთავარი სხდომა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპიდან.

მოსამართლის ნებართვით სხდომის მდივანი მოახსენებს სხდომას გამოცხადებული პირების ვინაობას:

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლები ნინო გუჯარაიძე და ირმა მახათაძე, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო [illegible], მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბ[illegible]ძე, მესამე პირის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ირაკლი კოპალიანი და მესამე პირის შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" – "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე.

მოსამართლემ დაადგინა გამოცხადებული პირების ვინაობა და უფლებამოსილება.

73

მოსამართლე განმარტავს, სასამართლოს დავალების საფუძველზე წარმოდგენილია მოსარჩელე მხარის მიერ დოკუმენტები.

წარმოდგენილი დოკუმენტები გადაეცათ მხარეებს.

მოსამართლის შეკითხვაზე მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე განმარტავს, სასამართლოს დავალების საფუძველზე წარმოგიდგინეთ მტკიცებულებები რომ მწვანე ალტერნატივამ მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მოვითხოვეთ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია. ასევე მოგახსენებთ, რომ მწვანე ალტერნატივამ სრულიად შემთხვევით და მხოლოდ ეხლა აღმოაჩინა საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე, ერთ-ერთი მოქალაქის მოთხოვნის პასუხად 2010 წლის 15 აპრილს რიგ საჯარო დოკუმენტებთან ერთად განთავსებული საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობას და შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის გაფორმებული შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი, დოკუმენტი ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ხელშეკრულება არ შეიძლება წარმოადგენდეს ვინმეს კომერციულ საიდუმლოებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეაზუსტებთ ჩვენი სასარჩელო განცხადების მოთხოვნას და ვითხოვთ 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დანართების, ასევე 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულების საფუძველზე, შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებით განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების განსაიდუმლოებას და დაავალოთ მოპასუხე მხარეს გასცეს როგორც საჯარო ინფორმაცია.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეები წინააღმდეგი არ არიან სარჩელის [illegible] და წარმოდგენილი დოკუმენტების საქმეზე დართვის.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მიღებული იქნეს მხარის მიერ სარჩელის დაზუსტება და განხილული იქნეს დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში.
მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები დაერთოს საქმეს და განხილული იქნეს სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

მოსამართლის შეკითხვაზე მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე განმარტავს, გთხოვთ გადადოთ სხდომა და მოგვცეთ დრო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

მესამე პირის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ირაკლი კოპალიანი განმარტავს, მე არ ვითხოვ დროს პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

მესამე პირის შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" –უფლებამონაცვლე "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე განმარტავს, მეც მხარს ვუჭერ საქმის გადადებას, რადგან შესაძლებელია გასაიდუმლოებამ აზრი დაკარგოს, რაც შეეხება ხელშეკრულების დანართებს იქ ისეთი აღარაფერია, მე არ ვიცი საიდან მოხვდა საჯარო რეესტრში ეს ხელშეკრულება, მაგრამ ფაქტია რომ დევს ვებ-გვერდზე, მე მჭირდება დრო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად და თანახმა ვარ სხდომის გადადების.

მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე განმარტავს—ის რომ დევს ვებ გვერდზე, ეს შეიძლება ცალკე დავის საგანი იყოს, მაგრამ რადგან მხარეები ითხოვენ დროს, მეც წინააღმდეგი არ ვარ გადადების.
სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით,

ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა მოთხოვნა მთავარი სხდომის გადადების თაობაზე.
2. საქმის მოსმენა მოიხსნას დღეის სხდომიდან და გაგრძელდეს საქმის განხილვა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპიდან ა/წლის 22 ივნისს 15^{00} საათზე.
3. მხარეებს ეცნობოთ სხდომის დღის თარიღის თაობაზე კანონით დადგენილი წესით.

მოსამართლემ სხდომა დახურულად [illegible]ადა.

სხდომა დამთავრდა 15^{50} საათზ[illegible]

მოსამართლე: ნინო შარაძე

სხდომის მდივანი: [illegible] თამარ ბაქრაძე